1877—1895

№ 231

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი 1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 231

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

## ივანე როსტომაშვილისაგან:

როგორც ქართველ მკითხველს ახსოვს, მე დავიწყე ქართული საყმაწვილო, სახალხო და სამეცნიერო წიგნების გამოცემა. ამ წლის პირველ ქრისტეშობისთვემდის მე აღვუთქვი საზოგადოებას ექვსი წიგნის გამოცემა, რომლის სრული ფასიც ერთი მანეთია გაგზავნით.

დღეს გამოვიდა სტამბიდგან პირველი ამ წიგნთაგანი

### ქართული ან-ბანი

და უკვე დაურიგდა ხელის მომწერლებს. წიგნი დაბეჭდილია სხვილი ასოებით და ისეა შედგენილი, რომ ბავშვი მეტად ადვილად და ჩქარა სწავლობს წერა-კითხვას.

ფასი ამ წიგნისა გაგზავნით 20 კაპ.

ვინც ხუთ ცალზედ მეტს იყიდის, წიგნი გაეგზავნება 17 კაპ. ხოლო ვინც ასობით იყიდის—15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს (კაპეიკები შეიძლება მარკებით): Въ Тифлисъ Ивану Павловичу Ростомову. (2—1930—2)

## „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

### ქართული თეატრი

პარასკევს, 27 ოქტომბერს 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ავალიშვილისა, კ. მესხისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

## ოტელო

ტრაგედია 5 მოქ. ვ. შექსპირისა თარგ. თ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ., ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, ცაგარელი, კანდელაკი, გედევანოვი, ჯამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „გულის-თქმა“ და „გაკოტრებული აზნაური“.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**გამგეობა ქართული დრამატიულის საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება განსახილველად საგნებისა:

1, მომავალი წლის სმეტა.

2. მოხსენება გამგეობისა შესახებ თეატრისა.

3. ამორჩევა გამგეობის ორის წევრისა და სამის კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და ორის კანდიდატისა.

4. ახალ წევრთა მიღება.

ეს კრება წესდებისამებრ კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვისა. (3—2).

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—18)

**ქართული სამკითხველო,** რომელიც იმყოფებოდა კოჩუბეის ქუჩაზედ, გადატანილი იქმნა მოლოკანთა ქუჩაზედ, სახლი №-5 იაფ-ფასიან სასადილოს პირ-და-პირ. (5—უ—5).

## კაბინეტი კბილის ექიმთა
**ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

—

*** ოც-და-ორს ოქტომბერს სუფსის სადგურზედ გარდახდილ იქმნა პარაკლისი თ. რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოდ.

*** როგორც გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ, მომავალს წელს ლონდონში გამოვა წიგნი ფრეშფილდისა, რომელშიაც იქნება აღწერილი დასავლეთი საქართველო. წიგნს სურათები ექნება ჩართული.

მომავალ წლიდგანვე ერთს ამერიკელ ცნობილს ჟურნალში დაიბეჭდება წერილები საქართველოს შესახებ. ავტორი ამ წერილებისა იქნება მოგზაური ჯორჯ კენანი, რომელსაც საქართველოში უმოგზაურნია სამოც-და-ათის წლის დასაწყისში. ჯორჯ-კენანი დასტამბავს თავისს მოგონებას ამ მოგზაურობიდამ. მისი წერილები მომეტებულ ნაწილად შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს. წერილებს სურათები ექნება ჩართული.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოთავეობით ამავე სასწავლებლის მასწავლებელთა ამხანაგობა შესდგომია საკვირაო კურსების პროექტის შედგენას მოზრდილთათვის. განზრახვა აქვთ ამ კურსებზედ ასწავლონ გარდა ხატვისა, არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა, ტეხნოლოგია, ხიმია და მეხანიკა.

*** როგორც გაზ. «ტფილ. ლისტოკ-»ს ატყობინებენ, რუსეთისა და საფრანგეთის კაპიტალისტთა ამხანაგობისათვის ოსმალეთის მთავრობას ნება დაურთავს გაიყვანოს ჯულვიდგან შიგ ოსმალეთში რკინის გზა. ამხანაგობა ამ დღეებში შეუდგება გზის გამოკვლევას, ოსმალეთის მთავრობას თავისს მხრივ სუფსიდია აღუთქვამს კაპიტალისტთა ამხანაგობისათვის.

*** როგორც საქალაქო სამკურნალოს ანგარიშიდგანა სჩას, თვით სამკურნალოში და მისს განყოფილებაში წარსულს წელს საექიმოდ მისულა სულ 17,090 ავადმყოფი. იმათგან 7169 ფასით და 52,036 უფასოდ. 58,973-თვის რეცეპტით უფასოდ მიუციათ წამალი სამკურნალოსთან დაარსებულ აფთიაქებიდგან. 794-თვის რეცეპტით უფასოდვე მიუციათ წამალი ქალაქის ხარჯზედ ქალაქის აფთიაქიდგან, რომელიც ბ. კამოცკის აქვს აღებული იჯარით.

*** „ნოვ. ვრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდგან: შავის ქვის მრეწველობა ძალიან გაძლიერდა, რადგანაც საზღვარ-გარეთიდგან იმატა მოთხოვნილებამ. ამბობენ, წელს 12 მილიონ ფუთს ქვას გაზიდვენ, სამის მილიონით უფრო მეტს ვიდრე წინა წელში. საქმეს ხელს უშლის უგზოობა. რკინის გზამდე ქვის მიზიდვა სამი კაპ. ჯდება, ჭიათურაში მანგანეზი ფუთი 7 კაპ. ღირს. გზების გაკეთება აუცილებლად საჭიროა.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგე ა. ე. კლაუსენი მცირეწლოვან დამნაშავეთათვის ოქროყანაში გახსნილ სამეურნეო-სახელოსნო ახალშენის დირექტორად მიუწვევიათ.

*** ამ ბოლო დროს ტფილისში ერთგვარი ავადმყოფობა გავრცელდა. ეს ავადმყოფობა ძალიან ჰგავს «ინფლუენცაას»: ავადმყოფს თავი და საფეთქლები სტკივა, ცხვირში უჭერს, სისუსტესა ჰგრძნობს და ცოტათი კიდეც აცხელებს.

*** ქართლი: აქეთ ხმელი სიცივეები და ყინვები დაიჭირა. ხალხი ყველგან მოწყენილია წრევანდელ ღვინის მოუსავლობისა გამო და არ იცის, როგორ გაუძლვეს სხვა-და-სხვა მრავალს გარდასახადს.

*** ს. ალი, (გორის მაზრა): გაზ. „ნოვ. ობოზ“-ს სწერენ: აქ მოვიდა ხიდისთავის ბოქაული დეკანოზოვი და შეუდგა მამასახლის მაჭარაშვილის საქმის გამოძიებას, რომელსაც მრავალი უწეს-რიგობა ჰბრალდებოდა. პირველი დანაშაულობა, რომელიც მაჭარაშვილს ჰბრალდებოდა, ეს თვისის საკუთარ განკარგულებით ფულის მოკრება იყო. მაჭარაშვილი თურმე თავისის ნებით ყოველს წელს კომლზედ მანეთსა და სამ აბაზ უზალთუნს ჰკრებავდა. ფული, რომელიც მას ამგვარად აუღია სოფლიდგან, ოთხი-ათას მანეთზედ მეტს შეადგენს. ამას გარდა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სოფლის სუდიებსაც თავისს სასარგებლოდ უღიათ ორ-ორი შაური მომჩივართაგან და ორი აბაზიც სასამართლოდამ მიცემულ კოპიოზედ. რომ ეს ასე ყოფილა, თვით მაჭარაშვილიც არა ჰყოფს უარს, პირ-იქით მას უთქვამს, რომ მომჩივართაგან ორ-ორს შაურს სუდიები იღებდნენო და კოპიოზედ ორ აბაზს-კი მეო.

*** ს. ხოვლე, (ქართლი): აცივდა აქეთ; ხალხმა კერას მიაშურა; მაგრამ წინანდებურად გულდამშვიდებული არ არის გლეხი. ღვინისა დავენახის მოსავალზედ სრულიად ხელი დაიბანა და ამ რიგად დარჩა მოვალეების შეუბრალებელ ბრჭყალებში ყოვლის უნუგეშოდ; მისი ვალი ჩვეულებრივზედ ერთი-ათად გაიზრდება და ღსნა-კი არსაითა აქვს. მართალია პური მოუვიდა, მაგრამ რა, როცა მასაც ფასი აღარა აქვს და კარზედ-კი ათასი ხელში შემაცქერალი ადგას. წრევანდელი ყურძენი ისვრიმსა ჰგავს; მნახველს თვალები ეტკინება, ისეთი წვრილი და დაუმწიფებელი მარცვლები აქვს.

## ადრესები

ჩვენო სასიქადულო და საყვარელო მგოსანო!

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც თქვენ პირველად ააჟღერეთ საერო კილოზედ გრძნობათა ამშლელი საამო და ტკბილი სიმები. ძნელი და ეკლით მოსილი იყო, მეტადრე ჩვენში, ის დრო, როცა თქვენ თავს იდევით სამწერლო საქმის მსახურება. ქართულ სტამბას ჯერ კიდევ ფეხი არ მოეკიდებინა, საზოგადო გრძნობა და აზრი ჯერ კიდევ ნათლად არ გამორკვეულიყო.

თქვენ ეკუთვნით იმ მარად დაუვიწყარ ქართველ მოღვაწეთა გუნდს, რომელიც ვერ შეაფერხა ვერა დაბრკოლებამ, რომელსაც ვერ გაუტეხა გული ვერა უკუღმართმა გარემოებამ. არ იყო სტამბა, მაგრამ თქვენი ნამდვილი ქართული, მადლიან გულიდგან ამონადენი, სიმღერა-ლექსები ხელთნაწერად იფინებოდა საქართველოში; იფინებოდა და ზრდიდა-ამაგრებდა სიყვარულს მრავალ-ტანჯულ ტურფა მამულისას.

იმ ღვაწლსა და სამსახურს, რომელიც თქვენ გაუწიეთ სამშობლო მწერლობას,—თუ ენის გამშვენიერებით და ნამდვილ საერო კილოს შეძლვენით და თუ ქართველის კაცის გრძნობიერ გულის ზედმიწევნილ და თან ღრმა პოეტურ შემკულობით,—ღირსეულად დააფასებს ჩვენის მწერლობის მომავალი ისტორია.

ახლა თქვენისთანა წრფელ და ფრიად ნიჭიერ მუშაკთა წყალობით დრონი იცვალნენ. თქვენი აღზრდილი საზოგადოება დღეს გულწრფელის სიყვარულით და უღრმესის პატივის-ცემით ეგებება ნახევარ საუკუნის თქვენს ნაყოფიერს და ზეგარდმო მადლით აღბეჭდილ მოღვაწეობას.

მოკლებულნი თქვენს ხილვას, ჩვენც, შავის ზღვის პირად მყოფნი ბათომის ქართველნი, ჩვენთა წარმომადგენელთა საშუალებით ვუერთებთ ჩვენს გრძნობას დანარჩენ ქართველობას და, ვსარგებლობთ-რა დღევანდელის წამით, მხურვალედ გიძღვნით, ძვირფასო მგოსანო, ამ საქართველოს ძველთა-ძველ კუთხიდგან უგულითადესს სალამს, მოწიწებითს პატივისცემას და ვინატრით თქვენს სიცოცხლეს მრავალ ჟამიერ.

ბათომის ქალაქის მოურავი ასათიანი.
გრ. ვოლსკი.
და სხვანი.

—

თავად რაფიელ ერისთავს.

კახეთი თავს გიკრავს თავისს დიდებულს შვილს, ბატონო რაფიელ! გიცხადებს პატივისცემას და გადიდებს შენ, რომელმაც იტვირთე ღვაწლი დიდი სამშობლოსათვის მრავალ-ნაყოფიერი და ცხოველს-მყოფელი.

გაქებს შენ დაუღალავსა მუშაკსა, რომელმაც გაუხსენი მოსიყვარულე

გული დიდსა და მცირესა, ქვრივსა და ობოლსა, ბატონსა და ყმასა უწყალოსა და მოწყალეს, მღვდელსა და ერსა, (ცოცხალსა და მკვდარსა) და ყველას ერთნაირად მოჰფინე გულის სიღრმიდგან ამონადუღი საღმრთო გრძნობა.

შენი ქვეყანა არ დაივიწყებს შენსა სახელსა, ვიდრე პირში სული უდგას და ამ სულის სარკედ ექმნება «სამშობლო ენა». უკვდავება შენი, მხცოვანო მოხუცო, და შენი სამშობლოსი ერთ-ურთზედ უწყვეტელი ჯაჭვით გადაბმულია; შენ აღაფრთოვანე გრძნობა და სიყვარული სამშობლოსადმი და მით აღზარდე მომავალი შენის ერისა.

დღეს, როცა 50 წლის შრომას მოუნიჭებია შენთვის უფლება შეკვრისა და გახსნისა, წყევისა და ლოცვისა, შენი ქვეყანა ჰფიცავს შენს წინაშე,—როგორც შვილნი ისრაელთანი ჰფიცავდნენ წინაშე მამათმთავრისა თვისისა იაკობისა, რომ ყოველს ღონისძიებას იხმარს შენი მოძღვრება დედის ნანასთან ერთად ჩააწვეთოს თავისს შვილებსა, რათა მათ სრულის ღირსებით შეეძლოთ წარმოთქმა ზეგარდმო შთაგონებით შენგან ნათქვამისა: «არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა». ჰფიცავს წინაშე შენსა, ცოცხლად დიდებულო ენოქო ქართველთაო, რომ არ უღალატებს შენგან გაკვალულს გზასა და საუკუნოდ იქმნება შენი ღირსეულად მხსენებელი.

—

დიდად-პატივსანო მოღვაწე,

რაფიელ დავითის ძევ!

თქვენის ცხოვრების შესანიშნავ დღეს წრფელის მხიარულებით ეგებება დაღისტანში მცხოვრები ქართველობა, რომელიც ჰხედავს თქვენის ორმოც-და-ათის წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის დღეობაში ეროვნულს დღესასწაულს და ქართული ლიტერატურის დაკავშირებას ჩვენის ერის ცხოვრებასთან. ეს მრავალმნიშვნელოვანი დღე გვაძლევს ჩვენ ახალ ძალას, რწმენას და იმედს საუკეთესო ბრწყინვალე მომავალზე. დაღისტანში მყოფი ქართველობა თავს იხრის იმ დედა-აზრების წინაშე, რომელთაც თქვენ ემსახურებოდით ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა და თქვენ მიერ მოპოვებული თანამედროვე ახალგაზდობის და ახალი მოზარდი თაობის თანაგრძნობა გვამხნევებს და ვპოვებთ მასში დაუშრეტელ წყაროს თვითწარმატებისას და წინმსვლელობისას. თქვენი სულის ძლიერება და თქვენ მიერ დათესილი სიკეთე, რომელნიც ღრმად ჩაინერგნენ ჩვენს გულში და ოქროს ასოებით აღიბეჭდნენ ჩვენს გონებაში, კეთილად იმოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე ეროვნულის თვითცნობიერების გასაღვიძებლად და ეროვნული თვით-არსებობის დასაცველად. პატივი და დიდება თქვენისთანა გონიერ და დაუღალავ სამშობლო მოღვაწეს! დიდება და პატივი თქვენისთანა ნამდვილი ეროვნული პრინციპების დამცველ მამულიშვილს! მიიღეთ ჩვენგან, სახელოვანო ქართველო, სრულიად გულწრფელი მილოცვა ამ თქვენის ცხოვრების შესანიშნავ დღეს. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს მამულს არ მოჰკლებოდეს თქვენისთანა თავდადებული მშრომელი მოძღვარი და გონიერი სიცოცხლით და სათნოებით სავსე წინამძღოლი! ღმერთმა მრავალ ჟამიერ მოგანიჭოთ დღეგრძელობა ჩვენის ძვირფასის სამშობლოს საკეთილდღეოთ!

ვშთებით, კეთილშობილო მშრომელო-რაფიელ დავითის ძევ, თქვენი ღრმად-პატივისმცემელი და კეთილდღეობის მსურველი დაღისტანში მცხოვრები ქართველობა.

—

დიდად პატივცემულო, თავადო რაფიელ დავითის ძევ!

საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, დაგვავალა მოგილოცოთ დღევანდელი დღე—შესანიშნავი არა მარტო თქვენთვის, არამედ იმ საზოგადოებისათვისაც, რომელიც მას დღესასწაულობს.

ამ დღესასწაულიდგან ცხადად სჩანს, რომ თქვენს 50 წლის მოღვაწეობას სამეცნიერო და სალიტერატურო ასპარეზზედ არ ჩაუვლია უქმად და ულვიძებია საზოგადოებაში ის კაცობრიული აზრები, რომელიც ნიჭიერად დახატულია თქვენს თხზულებებში.

თქვენი სიმეცნიერო მოღვაწეობა უკვე იყო ღირსეულად დაფასებული სამეურნეო საზოგადოების მიერ. თქვენგან შედგენილი (1873 წ.) მცენარეთა ლექსიკონი სამეურნეო საზოგადოებამ დააჯილდოვა დიდის ვერცხლის მედალით.

თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობა, უმთავრესი საგანი თქვენის პოეზიისა, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ერისათვის, თუმცა პირდაპირ არ ეკავშირება სამეურნეო საზოგადოების მისწრაფებას, შეეხება იმ ნაწილს ერისას, რომელიც დამყარებულია მეურნეობაზედ.

უფალმა განაგრძოს თქვენი დღენი მრავალს ჟამს სამშობლოს სასიქადულოდ და სანუგეშოდ.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.
და ხხვანი.

ქ. ტფილისი.
22 ოქტომბერს, 1895 წ.

—

ჩვენო საყვარელო მოძღვარო, ძვირფასო პოეტო რაფიელ!

ჩვენი სიღარიბე, რომელიც შეიძლება თქვენც მოგეხსენებოდეთ, გვაბედვინებს ასე მცირე ძღვნის მორთმევას.

თუმცა ჯერ ერთობ მცირეწლოვანები გახლავართ, მაგრამ კარგად გვესმის, რომ თქვენისთანა მოღვაწე, სამშობლო ენისა და მამულის სიყვარულსა და სამსახურში მოხუცებული, ღირსია თავისს თანამემამულეთაგან თაყვანისცემისა.

ჩვენც გვწადია გამოვაცხადოთ ჩვენი გულის-პასუხი, ჩვენი გულისთქმა:—გთხოვთ, მიიღოთ ეს მცირე ძღვენი ნიშნად ღრმა პატივისცემისა და გულითადის სიყვარულისა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეები.

—

თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო რაფიელ დავითის ძევ!

შესრულდა ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც ზეციურმა ნიჭმა, ჩანერგულმა თქვენს გულში, გამოიჩინა თავი, როგორც ვარდის კოკორი, დღიდამ დღეზე გაიფურჩქნა და ბოლოს გადიშალა მდიდრად, მშვენივრად და სუნნელოვან ყვავილად.

მართლაც, თქვენს ღვაწლს სამშობლო მწერლობის სარბიელზედ მრავალის ქართველის გული აუტოკებია, გაუღვიძებია იმის გულში სამშობლოსი და დედა-ენის სიყვარული და იმის მუდამ მკვნესავ და წყლულს გულს მისცხებია გამკურნავ ბალზამად და დასდებია სასიამოვნო მალამოდ.

თქვენ გვარი სამშობლოს მოყვარე და ღვაწლით შემოსილი ქართველი, დამცველი თავისის ეროვნებისა და ენისა, გამღვიძებელი ეროვნულ გრძნობა-მისწრაფებათა მართლა რომ იშვიათია ჩვენში და ჩვენ ვალდებულნი ვართ ამისთანა მოღვაწე დაუვიწყარ-ვყოთ ჩვენცა და ჩვენ მომავალთაც.

არაოდეს არ დაივიწყებს ქართველი ამ მოძღვრების წარმომთქმელს:

„სამშობლო დედის ძუძუ,
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“
და: „ენით ვცოცხალვარ,
მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს
მე დედა-ენა!..“

მარტო ამ სტრიქონებით სრულიად იხატება ისეთი ეროვნული გრძნობა, რომელიც ხდის მოღვაწეს დაუვიწყრად ეროვნულ ისტორიაში, სადაც იგი აღინიშნება ოქროს ასოებით.

უფსკრულნი გრძნობანი, რომელნიც იხატებიან თქვენ მიერ ქმნილ ლექსებში, ამხილებენ თქვენში უმანკო გულს, საფუძვლიანად ადამიანის ბუნების ცოდნას და იმ საკვირველ ნიჭს, რომლის ძალითაც მწერალი განაღვიძებს მკითხველის გულში იმ ლტოლვილებათა, რომლითაც იგი გამსჭვალულია; ის დაანახვებს, რომ ადამიანს შეუძლიან ამ მოკლე ცხოვრებაშიაც იპოვოს სიამოვნება, თუკი იმ ღვთიურს ნაპერწკალს, რომელიც ბჟუტავს ყოველ ჩვენგანის გულში, განაღვივებს სწავლით, განათლებით და ერთ-ურთის სიყვარულით.

ჩვენ, ქ. ახალციხეს მცხოვრებ ქართველთა პატარა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მივიღეთ ის ამბავი, რომ დღეს მთელი საქართველო დღესასწაულობს თქვენს დიდებულს მოღვაწეობას ქართველთათვის ნახევარის საუკუნის განმავლობაში. ყველა ჩვენგანის გული სავსეა გრძნობით და მადლობით იმის გამო, რომ არა ერთ გზის დაგვტკბობია გული, როცა გადგვიკითხავს თქვენი თხზულებანი.

სამაგიეროდ ამისა მიიღეთ ჩვენგანაც გულით და სულით პატივისცემა და მადლობა იმ სიტკბოებისა და გრძნობის გაღვიძებისათვის, რომელიც უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ შედეგად თქვენის ჩინებულის მწერლობისა, თქვენის პატიოსნის და მგრძნობელის გულისა, თქვენის ღვაწლისა, რომელიც დასდეთ საქართველოს, როგორც პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ და მოძმეთა მოყვარე პირმა.

გარდა ამისა, ჩვენი ქართველთა პატარა საზოგადოება ნიშნად თქვენდამი პატივისცემისა და სიყვარულისა წრფელის სურვილით აგროვებს თანხას შესაერთებლად იმ ფონდისა, რომელიც არსდება საქველ-მოქმედო მიზნით სახსოვრად თქვენის საუკუნოდ დაუვიწყარის სახელისა.

ქ. ახალციხეში მცხოვრებ ქართველთაგან.

—

ჩვენს დიდებულს, დაუვიწყარს და ჭაღარა მგოსანს თ. რ. დ. ერისთავს

ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან.

უხუცესო მგოსანო,
პოეტო ჩვენო ჭაღარა!
დღეს ჩვენ სუყველას აღგვანთებს
ჩანგთ ჟღერა, დაფი, ნაღარა.
როგორ არ გამოვიღვიძოთ
„შენი ფანდურის ხმაზედა“,
რომ ჩვენ დაფნისა გვირგვინი
დაგადგათ თეთრსა თავზედა!

დღეს იძვრის მთელი საქართველო, ავსილი აღგზნებული გრძნობებითა, დღეს ჭეშმარიტი ქართველი მოგმართავს შენ, დიდო მგოსანო ივერიისავ, რომ გაიზიაროს ის ლხენა-შვება, აღტაცება, რომელიც გამოიწვია შენმა ნახევარის საუკუნის ჩანგთ ჟღერამ; დღეს იხარებს შესმენილი ქართველი, ნამდვილი შვილი მამულისა, მხედველი შენის ასეთის მხნეობისა. დღეს შეგიმკობს იგი შენ გვირგვინს მაგ ჭაღარა, მაგრამ უკვდავ თავზედ დასადგმელად; დღეს იგი აღმართავს თავისს ნორჩს გულში ძეგლს ნიშნად შენის უკვდავებისა. დღეს იგი ყანწით სვამს შენს სადღეგრძელოს, რომ ბახუსმა მას ჩააგონოს სხვა რამე შენთვის მოსართმევად, რომ გულ-მკერდ გახურებული ერთად შენთან გაერიოს ფიქრით და გრძნობა-გონებით მაინც სახელოვანს „ასპინძის ომში“.

ვსცლით ჩვენცა დღეს ყანწით შენს სადღეგრძელოს, დიდებულო პოეტო, რომ შენთან ერთად მსწრაფლ გავითვალისწინოთ შავი სურათი ჩვენის წარსულისა.

დღეს, მოხუცო, ყველა მონდომილია შენი წინასწარმეტყველური, ღვთიური ნიჭის შემწეობით გამოარკვიოს შენ-მიერ უკვე მიწდომილი საიდუმლო სიყვარულისა.

მოვალთ შენდამი ჩვენცა, რომ შენგანვე ვისწავოთ ესტეტიკური გემოვნება, დატკბობა კავკასიის კეკლუცი და გულის მომხიბლავ ბუნების მშვენიერებითა, რომ შენ თან გაგვიყოლო გლეხის აბიბინებულს მამულში,

„სად ყურძენი წითლად ღუის“
და ნამეტანის სიჩქარით
„კოლო, ბუზი თავს დაჰბზუის“.
სად პურიცა შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად,
ნამგლის პირიც გაულესავთ,
გადაქცეულთ მთლად სიმღერად“.

ყველა ამაებით გასულდგმულებულნი დღეს მოვილტვით შენდამი სიყვარულის დასამტკიცებლად, გრძნობების ამოსალაგებლად; მოვისწრაფით, რომ შენგან ვისწავოთ ახალის თაობის დანიშნულება, მიზანი და მოწოდება, რომ შენთან ერთად „მამლაყინჩას“ ყვილზედ და მერცხლის პირველ „ჭიკჭიკზედ“

„წამოვყაროთ ყმაწვილები,
გავახსენოთ ღვთის სახელი—
ზარმაცობა შეიძულონ,
წიგნს მოჰკიდონ ეხლავ ხელი“.

შენ წინაშე მოვიდრეკთ, დიდებულო პოეტო, მუხლს! შენ აღგინთებთ კელაპტარს! შენ შეგევედრებით, რომ გვასწავლო და გამოგვირკვიო „გიგლას ტიტინის“ საიდუმლო, შეგვაყვარო მისი ღვიძლი ენა, დედა-ძუძუსთან ტკბილი საუბარი, რომ „ხევსურთან“ ერთად კუბოს ფიცრამდი აღვიარებდეთ შენის სახარების მოძღვრებას:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის
იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,—
ჩემი სამშობლო ის არი“.

რომ დიდებულო პოეტო შენის ჩაგონებით

„არ ვცვლიდე სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ ვცვლიდე მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.
ვისწავოთ: «დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა».

ჩვენ, მოწამეს მამულის შვილებისაგან შენის ასეთის პატივის-ცემისა, ამდენი ჭეშმარიტი ქართველის შენთან შეკრებისა,

„გვიყვარს ჩვენ ენა
ჩვენის მშობლისა,
რომლითაც ნანას
გვეტყოდა ისა,
ალერსს გვაგონებს,
დედისას ტკბილსა
ჩვენის ტოლების
მღერა, ჟღივილსა“.
„შენ შეგვაყვარე ჩვენ დედა-ენა
იმით ვცოცხალვართ,
მით გვიყვარს ლხენა“.
„მაშ მოვალთ შენდა, დიდო მგოსანო,
და მოგილოცავთ მაგ თქვენ დღეობას,
რომ ეგ შენი ხმა ლამპრადა უდგეს
ჩვენს დაცემულს ხალხს, მამულს და ძმობას.

მმართველი ამხანაგობისა მელიტონ კელენჯერიძე.

მდივანი ამხანაგობისა მიხეილ ცხაკაია.

---

## მოხუცს მგოსანს

(თავ. რაფიელ დავითის ძე ერისთავის საიუბილეოდ).

მშვიდობა შენდა, მოხუცო,
იცოცხლე წელი მრავალი,
ნიჭით ძლიერით, უკვდავით
აღბეჭდე გზანი ნავალი,
გვიამბე ჩვენი წარსული,
ჩვენი თავ-გადასავალი...
„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მაღლა ფარდამდის“,
შენ გისმენს შენი ერი და
თან „მდუღარება გადმოსდის“.
გვითხარ, რა უკლავს გულს ხევსურს,
შვილსა ბუმბერაზ მთა-კლდისას,
უწინდელებრ „მხნეს, გულადსა,
მომღერალს თავისს ბედისას“,
ვინცა არ გასცვლის სამშობლოს,
«როგორც რომ ძუძუს დედისას»?..
„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მაღლა ფარდამდის“,
გისმენთ და თვალთგან „ცრემლები
სიხარულისა გადმოგვდის“.
ან რა დარდი აქვს თანდილას,
რისათვის დაუკვნესია,
გულში რა უდუღს, რასა სწუხს
დაფიქრებული სესია,
ვინ მომკის ქვრივის ყანასა,
სოფლად როგორი წესია?..
„გაჰკარ, გაუსვი ჭიანურს,
აუწი მაღლა ფარდამდის“,
გისმენთ და იმათთან ერთად
ჩვენც „მდუღარება გადმოგვდის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაქე მძლავრი კავკასი,
„ყინვარის ჯავშნით შემკული,
ცას მიბჯენილი თხემებით,
მთა-მთაზედ აკიდებული“,
დარდით ბურული, მოცრემლე,
წარსულზედ ატირებული.
«გაჰკარ, გაუსვი ჰიანურს,
აუწი მაღლა ფარდამდის»,
გისმენთ, მოხუცო, და ვით შენ,
ჩვენც „მდუღარება გადმოგვდის“.
აგერ ივერი ნათელი,
დღე—მზითა, ღამე—მთვარითა,
გვიამბე მისი წარსული,
„იგლოვე სიტყვით მწარითა,
ქვეყანა დასწვი ცოდვითა,
მთლად მორწყე ცრემლის ღვარითა“.
„გაჰკარ, გამოჰკარ ძუასა,
აუწი მაღლა ფარდამდის“,
დაალუღუნე, ჩვენც შენთან,
„მდუღარე ცრემლი გადმოგვდის“.
გვატირ-გვაცრემლე, რომ ცრემლმა
ერს ცივი გული გაუთბოს,
ძველის გრძნობითა ძლიერით,
ძველის ცეცხლითა აუნთოს,
საერთო წუხილ-ვარამმა,
კერძოს აღარა დაუთმოს...
„გაჰკარ, გაუსვი ჰიანსურს,
აუწი მაღლა ფარდამდის“,
ნეტარ მას, ვისაც შენებრივ
თვალთაგან ცრემლი გადმოსდის“!..

ა. მ. ახნაზაროვი.

1895 წ. 19 ოქტომბერი.

## დეპეშა

კვლავ მოუვიდა იუბილარს: ოზურგეთიდგან—ოზურგეთის მცხოვრებლებისაგან, ფეოდოსიიდგან—ცალქალამანიძისაგან, ქუთაისიდგან—ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფეთა და სასწავლებლის გამგესაგან, იალტიდგან—ნიკიტის საბაღოსნო სასწავლებლის ქართველ მოწაფეთაგან, ბაქოდგან—ბაქოელ ქართველებისაგან, ჭიათურიდგან—შავი-ქვის მწარმოებელთა ამხანაგობისაგან, ქუთაისიდგან—მოსწავლე ყმაწვილებისაგან, ოზურგეთიდგან—ქალაქ ოზურგეთის დეპუტატი სპირიდონ კვაჭაძისაგან. ცაგერიდგან—ცაგერელ ქართველებისაგან, ყვირილიდგან—ჩხარელ თავად-აზნაურთაგან.

**ქუთაისი.** როგორც წარმომადგენელი ძველის ქუთაისისა და შვილი იუბილარისათვის ძვირფასის სამეგრელოისა პატივისცემითა და სიყვარულით წარმოვავლენ ამ თქვენთვის დიდად მნიშვნელოვანს დღეს ჩემს გულწრფელს მოლოცვას და ვისურვებთ ხანგრძლივ იცოცხლოთ სამშობლო სიტყიერების სასარგებლოდ.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ლოლუა.

## კორესპონდენცია.

**დაბა ხონი,** 18 ოქტომბერი. აგერ თითქმის თხუთმეტი წელიწადია, რაც ხონში საქალებო სკოლა არსებობს. აქაური საზოგადოება ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობოდა და დღესაც ეპყრობა მას, მხოლოდ ღირსია თუ არა ის ამ თანაგრძნობისა, ეს-კი კითხვაა, რომელზედაც ერთი ქვემო მოყვანილი ნიმუში გადაჭრით გვიპასუხებს.

წარსულს თვეებში ამ სკოლას მოუვიდა მასწავლებელი ქალი, ტომით რუსი, რუსისავე მასწავლებელი ქალის მაგიერ. ერთი კარგი მასწავლებელი წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ უკეთესი მოგვივიდა. მშვენიერად იცის ლევიცკის „ბუნებითი მეთოდით“ ბავშვების სწავლებასო!“ გაიძახის სიხარულით აფოფინებული სკოლის გამგე. გიხაროდეთ თქვენ, კეთილო მოღვაწევ! ჩვენ-კი მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას,რომ დაბა ხონშიაც (ჩვენდა საუბედუროდ სხვაგანაც შემოუღიათ ეს მეთოდი) მთელი ბრბო ახალგაზდა მანდილოსანთა იქელვება იმ ყოველივე პედაგოგიურს მოსაზრებას მოკლებული მეთოდით, რომელსაც ავტორმა «ბუნებითი“ უწოდა და რომელიც განათლების მაგიერ აჩლუნგებს, ხრწნის ბავშვის მკვირცხლს და მშვენიერს ნიჭს. აბა რა სარგებლობა უნდა მისცეს ქართველს და რა ცოდნით აღჭურვილნი შვილები უნდა დაუბრუნოს მშობლებს იმ სკოლამ, სადაც ქართული გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ორჯელ არის, დანარჩენ დროს-კი იმ საოცარ მეთოდს ანდომებენ. დიაღ! ლევიცკის ,,ბუნებითი მეთოდით‘‘ ხელმძღვანელობენ დღეს ის ბავშვები, რომელნიც რამდენიმე წლით ოჯახს სრულიად მოკლებულნი არიან მხოლოდ ამისთვის, რომ რაიმე ცოდნა შეიძინონ! მაგრამ განა ამ პირობებში ჩაყენებული სახალხო სკოლა როდისმე გაახარებს მშობლის დაიმედებულს გულს? არა! ის ჭეშმარიტება, რომ უდედა-ენოდ რიგიანის ცოდნის შეძენა შეუძლებელი არის, კარგა ხანია, რაც კაცობრიობამ შეიგნო და დაამტკიცა. რას უნდა მივაწეროთ სკოლის გამგეს ამნაირი მოქმედება?

ხონის ტაძარში, სადაც ერთ დროს მშვენიერი ქართული გალობა ქართველს სმენას უტკბობდა, სარწმუნოებრივ გრძნობას უღვივებდა, დღეს ორ-კლასიანი სავაჟო სკოლის მოწაფეები „ღოსპოდი პომილუის“ გაიძახიან, რომელიც, რასაკვირველია, რუსულის უცოდინარ მცხოვრებლების (უმეტესი ნაწილის) გულს ვერა სწვდება, გონებას ჭეშმარიტს აზრს ვერ ამცნებს და მათ სარწმუნოების სიყვარულს ვერ შთაუნერგავს. ნუ-თუ ამ სკოლის მოწაფეებიც ლევიცკის „მეთოდმა“ ისე გადააგვარა, რომ ქართული გალობაც ვეღარ ისწავლეს? თუ ქართველი ბავშვისათვის „ღოსპოდი პომილუის“ სწავლა უფრო ადვილია, ვიდრე „უფალო შეგვიწყალესი“? ვეჭვობთ! ამასთანავე გვიკვირს ადგილობრივმა ბლაღოჩინმა, რომელიც ამ ასპარეზისათვის საკმაოდ მომზადებულია და რომელიც ეკკლესიისათვის, თუ ბევრს არა, ცოტას მაინც იღვწის, ამ თვალსაჩინო ნაკლს ჯეროვანი ყურადღება რად არ მიაქცია?! სწორედ გამოცანაა!

ა. წულუკიძე.

## ორიოდე სიტყვა დრამატიულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ მოკლე ხანში მიუღია ერთი მეტად საყურადღებო თხოვნა ქართულ სახალხო წარმოდგენათა გამგე კომიტეტისაგან. ხსენებული კომიტეტი ძლიერ შევიწროებულია მატერიალურად, რაც ძლიერ აბრკოლებს ამ საქმის რიგიანს მსვლელობას. სახალხო წარმოდგენების მმართველთ არა აქვთ თეატრალური ბიბლიოთეკა,არა აქვთ საჭირო ტანსაცმელი, არა აქვთ რეპერტუარი; შენობა, სადაც იმართება წარმოდგენები, მეტად პატარაა და არ იტევს მსურველთა ნახევარსაც; არა აქვთ ცოტაოდენი თანხა, რომ გაუძლვენ მრავალს წვრილ ხარჯს და სხვა-და-სხვა. მიუხედავად ამისა და სხვა მრავალ დაბრკოლებათა, კეთილის საქმის გამგეთ მაინც მოუხერხებიათ და საკვირველის ენერგიით სახალხო თეატრის საქმე გამოუწყვიათ. შეგნებულმა ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის რა არის თეატრი, იცის, რა როლის აღსრულება შეუძლია თეატრს ხალხის გაწრთვნისა და აღზრდისათვის და ამიტომ დიდის თანაგრძნობით უნდა უყურებდეს იმ ორიოდე ახალგაზდას, რომელნიც არ ზოგვენ თვისს ძალსა ღონეს ხალხურის თეატრის შექმნისათვის. მაგრამ ცარიელი თანაგრძნობა საქმეს მაინცა და მაინც არას უშველის, უთუოდ სიჭიროა უფრო რეალური დახმარება.

ხსენებულ წარმოდგენების მართველნი, თუ არა ვცდებით, სთხოვენ დრამატულ საზოგადოებას 150 მანეთით შემწეობას. მართალია, ჩვენის ხელ-მოკლე „საზოგადოებისათვის“ 150 მანეთი კარგი ფულია, მაგრამ ამ თხოვნაზედ უარის თქმა სწორედ მომაკვდინებელი ცოდვა იქნება. ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების მომავალი ისტორიკოსი გაკვირვებით და მასთანავე სამართლიანის წყრომით მოიხსენიებს, რომ ქართველი ინტელიგენცია გულ-გრილად უყურებდა სახალხო საქმის დასაწყისშივე დაბრკოლებას; დიდის წყრომით მოიხსენიებს იმ დაწესებულებას, რომელიც «მადამ სან ჟენისა» და «დამა ო კამელიას»-თანა პიესების დადგმისათვის, იმგვარის პიესებისა, რომელნიც მხოლოდ ინტელიგენციისათვის არიან გასაგები და საგულისხმიერო, არ ზოგავდა ენერგიასა და საჭირო ხარჯს, ხოლო სახალხო თეატრისათვის ასის მანეთის გამომეტება დაიშურა!.. შაბათს, 28 ოქტომბერს, დანიშნულია საზოგადო კრება „დრამატიულის საზოგადოებისა.“ ამ კრებაზე უთუოდ უნდა აღიძრას ხსენებულ თხოვნის შესახებ ბაასი და სასურველია „საზოგადოების“ გამგეობამ წინ-დაწინვე მოისაზროს და გამოსძებნოს საღსარი ამ საყურადღებო თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ვიქონიოთ სახეში, რომ ჩვენგან უარის თქმა, შესაძლებელია, დიდის ხნით შეაჩერებს სახალხო თეატრის საქმეს და ეს გარემოება-კი დიდს ვნებას მოუტანს ქართველთა საეროვნო საქმეს.

## რუსეთის ცხოვრება.

,,ნოვ. ვრ‘‘. იუწყება, რომ გრ. ლეონ ტოლსტოვმა დაათავა ამ დღეებში ერთი დიდი მოთხრობა და შეუდგა მეორის წერასაო.

—

გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო საბჭოში განიხილავენ მელიორაციულის კრედიტის პროექტსაო.

—

,,ბირჟ. ვედ‘‘-ს სიტყვით, წუმწუმის შემოსავალს მომავალს წელში ზედმიწევნით 7.500,000 მანეთს ანგარიშობენ.

—

ხალხის ჯანმრთელობის დამცველი საზოგადოება შეუდგა მუშების საცხოვრებელ ჰიგიენურ შენობების ასაგებად პროექტის შემუშავებას.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ ჟამად ინგლისის ჟურნალ-გაზეთების და საზოგადოების მთელი ყურადღება მიპყრობილია ქ-ნ ედით ლანჩესტერზედ. ედითი ლანჩესტერი ახალგაზდა ქალია და კარგა განათლებული. საქმე მიაშია, რომ მას გრანდ ალენის რომანის (,,ქალი, რომელიც ასე მოიქცა‘‘) გავლენის ქვეშ მოუსურვებია მინისტრ სიულლივანის შერთვა ჯვარდაუწერავად. მშობლებს ახალგაზდა ქალი სულით ავადმყოფთა სახლში დაუმწყვდევინებიათ, მაგრამ ხუთის დღის შემდეგ მთავრობას იგი გაუნთავისუფლებია. აქედგან გაზეთებში იბეჭდება აღურიცხველი წერილები, რომლითაც გასათხოვარი ქალები თანაგრძნობას უცხადებენ ედითს და აღიარებენ, რომ ჩვენც შენებრ მოვიქცევითო. მარკიზა კვინსბერი მუხლს იდრეკს წინაშე ქ-ნ ლანჩესტერის თავგამოდებისა და ურჩევს ჯერ კანონისამებრ იქორწინოს და მერე პროტესტი განაცხადოს ჯვარის წერის შესახებ. ჟურნალ-გაზეთები თუმცა არ ამართლებენ ედითის საქციელს, მაგრამ მისი სულით ავადმყოფთა სახლში დამწყვდევა-კი არ მოსწონთ. ექიმნი, რომელთაც ედითი საგიჟეთში დაუმწყვდევიათ და რომელთაც მისის მშობლებისთვის მიუციათ მოწმობა, რომ ედითი ჭკუაზედ შემცდარიაო, სამართალში იქნებიან მიცემულნი.

—

ამ დღეებში ინგლისის მთავრობამ აშანთელთა მეფეს პრემპეს ამ ულტიმატუმით მიჰმართა, რომელიც შემდეგმა გარემოებებმა გამოიწვია.მეფეს ამტყუნებდნენ იმაში, რომ იგი ხალხს აქეზებს კაცთა მსხვერპლად შეწირვის საქმეში, რომელი გარემოებაც ხშირად რამდენსამე კაცს ერთად იმსხვერპლებს ხოლმე; ბრალს სდებდნენ, რომ ყმებით ვაჭრობას ხელს უწყობსო და განუწყვეტელის ომით მეზობლად მცხოვრებთ ხალხებთან ახალშენებთან ვაჭრობას ხელს უშლისო და სხვ. შარშანვე ურჩია ინგლისმა აშანთელთა მეფეს, რომ მიიღოს თავისთან სამარადისოდ ინგლისის წარმომადგენელი და იქაურ მცხოვრებლებთან თუ რამ მოსარიგებელი აქვს, წარუდგინოს გასარჩევად ინგლისის მთავრობას. ეს ულტიმატუმი ინგლისმა გაუგზავნა მას ეხლა, როდესაც გადაწყვეტილი პასუხი არ მისცა ზემოხსენებულს წინადადებაზედ. ოფიციალურ ცნობათაგან სჩანს,რომ ინგლისელები საომრად ემზადებიან და თუ საჭირო იქნება,ომი დაუყოვნებლივ დაიწყებაო. მხოლოდ ახალშენთა მინისტრის ჩემბერლენისა და ულტიმატუმის პასუხს უცდიან.ეჭვი არ არის მომავალის წლის იანვარში კუმახელთა სამეფო დამარცხებულ იქნება. ჯარის ინსპექტორის ფრენს სკოტის აზრით საჭიროა ათასი კაცი, რომ პრემპეს თავი მოახრევინონ. მაგრამ თუ მას სხვა ტომნიც მიემხრნენ, მაშინ-კი საქმე უფრო რთული შეიქნება და საჭირო იქნება საომრად 5,000 კაციო.

## ახალი სამინისტრო საფრანგეთში.

სამხრეთ რკინის გზათა შესახებ ინტერპელაციამ დასცა რიბოს კაბინეტი. საფრანგეთმა ამ კენჭის ყრით კიდევ ერთხელ გამოუცხადა მთავრობას, რომ დრო არის სამუდამოდ დასჯილ და განკიცხულ იქმნას მთავრობისა და ხალხის წარმომადგენელთა გარევა სხვა-და-სხვა საფინანსო სკანდალებში; დრო არის პანამისტები სამუდამოდ განდევნილ იქმნან სახელმწიფოს მმართველთა რიცხვიდგანაო. გარდა ამისა რიბოს მოქმედებამ კარმოს შეთქმულებაში და საზოგადოდ მისმა აგრესიულმა პოლიტიკამ მუშათა შესახებ ძლიერ გააჯავრა საზოგადოება და პარლამენტის პროგრესიული ნაწილი. ასე რომ რიბოს სამინისტროს სამსახურიდგან გადაყენება არც მოულოდნელია და არც გასაკვირველი.

როგორც დეპეშებიდგან ვიცით, ახალი კაბინეტი უკვე შესდგა ბურჟუას მეთაურობით. ბურჟუამ ჯერ სცადა—სამინისტრო ისევ ოპპორტუნისტებისა და ზოგიერთ ზომიერ რადიკალებისაგან შეედგინა, მაგრამ ვერ მოახერხა და შეადგინა სრულიად რადიკალური სამინისტრო. ეს გარემოება ფრიად სამნიშვნელოა საფრანგეთის უკანასკნელს საპარლამენტო ისტორიაში. უკანასკნელ არჩევნების შემდეგ, როდესაც სოციალისტებიც გაძლიერდნენ ერთის მხრით და კონსერვატორებიც მეორეს მხრით, ყველა ბურჟუაზთა ზომიერი პარტიები დაკავშირდნენ პროგრესისტებთან საბრძოლველად. ყველა სამინისტროები ამ პარტიათაგან სდგებოდა, მაგრამ დღემდის მათმა პოლიტიკამ ვერც თანაგრძნობა მოიპოვა ქვეყანაში, ვერ შესძლო მტკიცე უმრავლესობის შექმნა.

დღეს საფრანგეთში, როგორც ვთქვით, ბურჟუამ შეადგინა რადიკალური კაბინეტი. გუშინდელმა დეპეშამ გადმოგვცა ახალის სამინისტროს დეკლარაცია. სამინისტრო აცხადებს, რომ ის მომხრეა პროგრესიულის გარდასახადის შემოღებისა მემკვიდრეობაზედ, მომხრეა აგრეთვე იმ საფინანსო სისტემისა, რომლით გარდასახადი უნდა დაედვას შემოსავალს. სამინისტროს ჰსურს გააძლიეროს მუშათა მფარველი კანონმდებლობა, ჰსურს განაკარგოს ასსოციაციათა წესდება, რაც პირველი ნაბიჯი იქმნება ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებისთვის. სამინისტროს განზრახვა აქვს განიხილოს პროექტები მუშათა სიბერის დროს უზრუნველ-ყოფობის შესახებ, საურთიერთო დაზღვევისა და სხვა საჭირო და სასარგებლო სოციალურ-ეკონომიურის რეფორმების შესახებ. გარდა ამისა ბურჟუას სამინისტრო ეცდება აუკრძალოს სრულიად დეპუტატებს და სენატორებს საფინანსო სინდიკატებში მონაწილეობის მიღება. დეკლარაციიდგან სჩანს, რომ ახალს კაბინეტს საგნად აქვს იზრუნოს იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც ეკუთვნის ზომიერ რადიკალთა პარტიას. საფრანგეთის კანონმდებლობა და შინაგანი პოლიტიკა უკანასკნელ დროს ისე შეჩერდა, მთავრობის მოღვაწეობამ ბოლოს დროს ისეთი უკიდურესი რეპრესიული მსვლელობა მიიღო, რომ ზომიერ რადიკალთა პროგრამაც საგ-

რძნობლად პროგრესულია და შეაკავშირებს ყველა მემარცხენე პარტიებს. დეკლარაციის კითხვას მემარჯვენენი და ცენტრი მტრულად მიეგებნენ, ხოლო მემარცხენენი ტაშის ცემით, ასე რომ უნდა ვიგულისხმოთ, მემარცხენე პარტიები, თვით სოციალისტებიც, საკმაო მძლავრს დახმარებას აღმოუჩენენ ბურჟუას კაბინეტს. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ სამინისტრომ შესძლოს პროგრამის განხორციელება, რადგანაც ოპპორტუნისტ კონსერვატორნი და მემარჯვენე დასები უფრო შეკავშირდებიან და ენერგიულად ეცდებიან—ცოტათი პროგრესიული პოლიტიკაც-კი დააბრკოლონ.

ვნახოთ, როგორ წავა ახალის სამინისტროს საქმე; რაც უნდა იყოს—საყურადღებო და საინტერესო ბრძოლას უნდა მოველოდეთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

კარმოში მომხდარ შეთქმულობის შესახებ დეპუტატთა პარლამენტში უკანასკნელმა სხდომამ დიდი ხმაურობა გამოიწვია და თუმცა კაბინეტმა გაიმარჯვა, მაინც, როგორც გაზეთები შეჰნიშვნენ, როგორღაც ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა.

სხდომა დაიწყო შემდეგის ტრაღიკულის შემთხვევით. შინაგან საქმეთა მინისტრი ჯერ ტრიბუნაზედ არ ასულიყო, რომ ქანდარის მეორე წყებიდგან, სწორედ იმ ადგილიდგან, საიდგანაც ამ ორის წლის წინად ანარხისტმა ვალიანმა ყუმბარა ისროლა, ვიღაც უცნობმა კაცმა იყვირა: ,,გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს სამშობლოს! მე ვარ უსაქმოდ დარჩენილი მთის მუშა, შემომხედეთ,—კუტი ვარ!“ ამასთან ერთად სხდომის დარბაზში გადმოყარა მრავალი ბილეთები და ერთი მუქა ჩალა. რამდენიმე დეპუტატი შეშინებული წამოვარდა და იმ მხარეს დაუწყეს ცქერა, საიდგანაც ხმა მოისმა. პოლიციის ბოქაულები მაშინვე ქანდარას ეცნენ და ეს მყვირალა ვაჟბატონი შეიპყრეს; იგი ვიღაც გონება-შერყეული გოსტე აღმოჩნდა. გოსტეს ფულით დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ განათავისუფლეს.

მინისტრი ლეიგი მფარველობას უწევდა მოხელეთა და რესსეგიეს მოქმედებათ კარმოში; ამის გამო სოციალისტები ხშირად აწყვეტინებდნენ ლაპარაკს. ყველაზედ მეტად ეწინააღმდეგებოდნენ ჟორესი და ჟაბერო. ეს კამათი სოციალისტთა წინამძღოლსა და ლეიგს შორის ისევ წინადღით დაიწყო. როდესაც ლეიგმა წარმოსთქვა აზრი, მუშათა სინდიკატებს პოლიტიკაში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთო, ჟორესმა შეჰნიშნა: ,,თქვენ სრულიად მართალი ხართო!“ და იქვე წაიკითხა მუშათა სინდიკატების მოწოდება ვილნევ-სურ-ლოტეში, რომლითაც ურჩევდნენ დეპუტატად ლეიგი ამოერჩიათ, როგორც კეთილი რესპუბლიკელი. ,,დროგამოშვებით მუშათა სინდიკატები რომ პოლიტიკაში არ იღებდნენ მონაწილეობასაო,—შენიშნა ჟორესმა,—მაშინ თქვენ სამინისტრო სავარძელზედ არ იჯდებოდითო“. ჟორესის ასეთმა საქციელმა სიცილი გამოიწვია და მინისტრიც შეაძრწუნა. ამ სხდომაზედ მინისტრმა ხელახლად დაუწყო მფარველობა რესსეგიეს და შენიშნა, სხვათა შორის, რომ შეთქმულნი მუშის ქარხანას დაწვას უპირებდნენო. ჟორესმა შენიშნა: ,,ის, რასაც თქვენ ამტკიცებთ, სამარცხვინოა. ვინ წარმოსთქვა ეგ მუქარა?“—ლეიგი: ,,მუქარა ქუჩაში ისმოდა!“—ჟორესი: ,,მე-კი სხდომის წინად უსახელო წერილი მივიღე, რომელშიაც მოკვლას მემუქრებოდნენ“.

ლეიგი სოციალისტებს ამტყუვნებს იმაში, რომ შეთქმულობა გამოიწვიეს და მხარს უჭერდნენო. სოციალისტები ჰყვიროდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ. ჟაბერომ მინისტრის მელოტს თავს მიაქცია ყურადღება და სთქვა: ,,მართალია თავზედ თმა ძალიან ნაკლებად გაქვთ, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ დიდი თავხედი და უზრდელი ხართ“. ისმის ყველა მხრიდგან სიცილი, იცინიან თვით მინისტრებიც, მხოლოდ ერთმა მრისხანე ბრისსონმა შეიმაგრა თავი და პარლამენტს წარუდგინა ჟაბეროს სასტიკი პასუხის-მგებლობა მოსთხოვოს ასეთის უზრდელ საქციელისათვის.

ლეიგი შემდეგს თვისს სიტყვაში უარს არა ჰყოფს, რომ რესსეგიემ გერმანელი მუშები დაიქირავა. მაგრამ ასე იმიტომ მოიქცა, რომ უმისოდ ქარხანა სამუშაოს დროზედ დასრულებას ვერ მოასწრებდაო. ისმის კვალად ხმაურობა. მინისტრები და სოციალისტთა დეპუტატები ერთმანეთს მკვახე-მკვახე სიტყვებს უგზავნიან. როდესაც კენჭის ყრის შესახებ გამოაცხადეს დასასრული, ჟაბერომ ხმა-მაღლა წარმოსთქვა: „გაუმარჯოს სოციალურს რესპუბლიკასაო!“

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

მე ვიმყოფები სამრევლო სკოლის მასწავლებლად რაჭის მაზრის ერთს მიყრუებულს სოფელს სორში და არავითარი საშუალება არა მაქვს, რომ სამრევლო სკოლის მოწაფეების და საზოგადოდ მცხოვრებლების სულიერის საზრდოს მასალა მოვიპოვო და მით დავაკმაყოფილო იგინი. ხშირად მოდიან ჩემთან და მთხოვენ საკითხავს წიგნებს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემის საშუალებით ვერ მოვიპოვე რიგიანი სახალხო წიგნაკები და წიგნები და სხვა მხრით არავინ მაწვდის მშველად ხელს. ამისთვის თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ვთხოვ ყოველს მომმეს, საზოგადოების მოთხოვნილების გულშემატკივარს და თანამგრძნობელს, რომ არ დაიშურონ თითო-ოროლა წიგნი რწმუნებულის ჩემდამო სკოლის წიგნთ-საცავისათვის და მით მომცენ საშუალება ხალხში წერა-კითხვის გავრცელებისათვის. უმეტესად ვთხოვ ტფილისის მოძმეთ, ქუთაისის სათავად-აზნაურო და საურთიერთო ნდობის ბანკების წარმომადგენელთ და მოსამსახურეთ, სათავად-აზნაურო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლებისა და სხვების ამხანაგთ-მასწავლებელთ, წიგნის გამომცემელთ საზოგადოებებს და საზოგადოდ ყოველს განათლებულს პირს, რომ არ დაიშურონ თითო-ოროლა წიგნი სკოლისათვის.

მასთან ვთხოვ ბ. ბესარ. ვასილ. ლოსაბერიძეს, საქმის მწარმოებელს ქუთაისის მიხეილის ბანკისას, ამ საქმის მოთავეობას.

თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადს მადლობას ვუძღვნი ბ. „ნოვოე ობოზრენიე-“ს რედაქტორს და ტფილისის საიმპერატორო მეურნეობის საზოგადოებას თავისის პატივცემულ გაზეთების სკოლისათვის მუქთად დათმობისათვის.

სორის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ონს. მინდელი.

20 ოქტომბერი, 1895 წ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენ. ვესტნ.“-ში გამოცხადებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი დოლგოვო-საბუროვი შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დაინიშნაო.

,,ნოვ. ვრ.“-ს პარისიდგან დეპეშით ატყობინებენ: ,,23 ოქტომბერს ელზასში გარდაიცვალა დანტეს-გეკკერნი, 84 წლისა. ყველამ იცის, რა ცუდი სახელი მოიხვეჭა ამ კაცმა: მან მოჰკლა პუშკინი დუელის დროს.

**პრაგა.** იმპერატორმა აპატია ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთ და ბრძანა, რომ შეჩერებულ იქმნას გამოძიება პოლიტიკურ დანაშაულობათა შესახებ.

**ბუქარესტი.** სამინისტროს გამოცვლის გამო მოხდენილ იქნება 22—28 ნოემბერს არჩევნები. პარლამენტი დათხოვნილ იქმნა.

**კონსტანტიპოლი.** ოფიციალურ ცნობიდგან სჩანს, რომ ლევერიკს, დიარბექირის ვილაიეტში, არეულობა მოუხდენიათ. სომხები თავს დაესხნენ დარაჯთ, მოჰკლეს რამდენიმე ოსმალელი და დუქნებს ცეცხლი წაუკიდეს. წესიერება აღდგენილ იქმნა ჯარის შემწეობით. ჯარებმა გაფანტეს 200 აჯანყებულთაგანი დაბა მაუნსის ახლო არზრუმის ვილაიეტში. ზეითუნიდან გამოსული აჯანყებულნი თავს დაესხნენ სოფლებ ჩუკურგისარისა და იზმაილის მცხოვრებთ. რამდენიმე კაცი მოკლულია და დაჭრილი; სახლები გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს. დატუსაღებულია ჯაშუშები და რამდენიმე სომეხი, რომელნიც პატრონებს ამზადებდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 208 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100⅛ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 98 |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროვან შჩერბანინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. შ. კარაშვეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

# იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—3)



შეუმჩნეველია სახეზედ მხოლოდ

პუდრა „ჰიგიენა“ მშვენიერის სუნისა.

ისყიდება ყველგან.

„ჰიგიენის“ ამხანაგობისა ს.-პეტერბურგში, ალექსანდრეს მოედანი, 9.

მოსკოვი, ვარშავა. (9—8—5)

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა აბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—1)